# საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ტრენინგ-კურსი

| | |
|---|---|
| კურსის სახელწოდება: | **სურსათის ეტიკეტირება**<br>**Food labeling** |
| კურსის მოცულობა: | 12 საათი |
| კურსის ხელმძღვანელი | ქეთევან დადიანი - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;<br><br>გიორგი მიქაძე - მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. |
| კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები (გთხოვთ თან დაურთოთ CV) | ქეთევან დადიანი - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;<br><br>გიორგი მიქაძე - მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.<br><br>CV-ები დანართის სახით თან ერთვის. |
| სწავლების ენა: | ქართული |
| სამიზნე ჯგუფი: | კურსის სამიზნე ჯგუფს შესაძლოა წარმოადგენდნენ როგორც დიპლომირებული, ასევე ზოგადი განათლების მქონე პირები, ან მომიჯნავე პროფესიების ადამიანები, რომელთაც თავიანთი საქმიანობიდან ან სამომავლო პერსპექტივებიდან გამომდინარე აქვთ დაინტერესება აღნიშნული პროგრამის გავლისა ან/და საჭიროებენ დაადასტურონ თავიანთი კომპეტენციები სურსათის უვნებლობის სფეროში. |
| კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის: | ზოგადი განათლების საბაზო საფეხური. დამატებითი მოთხოვნაა - მინიმალური ასაკი 18 წელი. |
| კურსის მიზანი: | **ტრენინგის მიზანია:** მოამზადოს სურსათის უვნებლობის სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ შეაფასონ: სხვადასხვა კატეგორიის სურსათის ეტიკეტირების მიმართ დადგენილი მოთხოვნები, ასევე სურსათის ეტიკეტზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების და სურსათში ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების |

| | |
|---|---|
| | დამატების ზოგადი პრინციპები, მოთხოვნები და პროცედურები. განახორციელონ კონტროლი ეტიკეტის, წარდგენის (პრეზენტაციის), რეკლამის მიმართ, სურსათის ბაზარზე განთავსების სხვადასხვა ეტაპზე. |
| სწავლის შედეგები: | **1. მსმენელი შეიძენს ცოდნას** - სხვადახვა კატეგორიის სურსათის ეტიკეტირებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებზე; სურსათის ეტიკეტზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების და ასევე, სურსათში ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების დამატების ზოგადი პრინციპების, მოთხოვნებისა და პროცედურების მიმართ; სურსათში ნორმირებას დაქვემდებარებული ნუტრიენტების მიმართ; სურსათის ბიზნესოპერატორების სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ფორმებისა და მეთოდების მიმართ.<br><br>**2. მსმენელი შეიძენს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს** - შეძლებს მიღებული ცოდნა სურსათის ეტიკეტირების შესახებ გამოიყენოს პრაქტიკაში; განახორციელოს სხვადასხვა კატეგორიის სურსათის ეტიკეტირება დადგენილი წესით და სხვადასხვა ტიპის ბიზნესოპერატორების კონტროლი ეტიკეტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების მიზნით.<br><br>**3. მსმენელი შეიძენს შეფასებისა და დასკვნის უნარს** - შეძლებს შეაფასოს სხვადასხვა კატეგორიის სურსათის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიმართ ბიზნესოპერატორის ფაქტიური მდგომარეობის შესაბამისობა; ამოიცნოს შეუსაბამობა და მათი გამომწვევი ფაქტორები; ბიზნესოპერატორს მიაწოდოს შესაბამისი რჩევები და რეკომენდაციები.<br><br>**4. მსმენელი შეიძენს სწავლის უნარს** - მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის საფუძველზე მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.<br><br>**5. მსმენელი შეიძენს კომუნიკაციის უნარს** - შეეძლება კომუნიკაციის დამყარება ბიზნესოპერატორებთან, ამ სფეროში მოღვაწე და დაინტერესებულ სუბიექტებთან; ასევე შეიძენს სხვისი საუბრის მოსმენის, გააზრებისა |

| | |
|---|---|
| | და საჭიროებისას დაზუსტების უნარს, თავის საქმიანობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარს. |
| **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** | - ლექცია;<br>- დისკუსია;<br>- ჯგუფური აქტივობა;<br>- დემონსტრაცია;<br>- საბოლოო ტესტირება. |
| **სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:** | სერტიფიკატის მისანიჭებლად აუცილებელია:<br>- მსმენელი დაესწროს ტრენინგ-კურსს;<br>- მონაწილეთა მიერ საბოლოო ტესტში აღებული 60%-იანი ზღვარის გადალახვა. |
| **კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები:** | - სატრენინგო აუდიტორია;<br>- ლეპტოპი და პროექტორი;<br>- მსმენელებისათვის ტრენინგის სასწავლო მასალის მიწოდება; |

## კურსის სტრუქტურა და შინაარსი

| # | თემა / სესია | საათების რაოდენობა თითოეული თემისათვის | მეთოდები | სასწავლო მასალა |
|---|---|---|---|---|
| 1. | მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების წესის ზოგადი მიმოხილვა, ტერმინთა განმარტებები. | 1 საათი | ლექცია, დისკუსია, ჯგუფური აქტივობა; დემონსტრაცია. | ტრენინგისთვის წინასწარ მომზადებული კონსპექტები, დანართში დასახელებული წყაროების გამოყენებით. |
| 2. | სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაციის წარდგენის პრინციპები; ბიზნესოპერატორის პასუხისმგებლობები. | 1 საათი | ლექცია, დისკუსია, ჯგუფური აქტივობა; დემონსტრაცია. | ტრენინგისთვის წინასწარ მომზადებული კონსპექტები, დანართში დასახელებული წყაროების გამოყენებით. |
| 3. | სურსათის წარმოებისთვის საჭირო ინგრედიენტების მიმართ არსებული მოთხოვნები. | 1 საათი | ლექცია, დისკუსია, ჯგუფური აქტივობა; დემონსტრაცია. | ტრენინგისთვის წინასწარ მომზადებული კონსპექტები, დანართში დასახელებული წყაროების გამოყენებით. |
| 4. | ალერგიის ან მომეტებული მგრძნობელობის გამომწვევი ზოგიერთი ნივთიერებების ან პროდუქტების ეტიკეტირება; ვარგისიანობის მინიმალური ვადა. | 1 საათი | ლექცია, დისკუსია, ჯგუფური აქტივობა; დემონსტრაცია. | ტრენინგისთვის წინასწარ მომზადებული კონსპექტები, დანართში დასახელებული წყაროების გამოყენებით. |
| 5. | სურსათის კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული | 2 საათი | ლექცია, | ტრენინგისთვის წინასწარ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მოთხოვნები. | | დისკუსია, ჯგუფური აქტივობა; დემონსტრაცია. | მომზადებული კონსპექტები, დანართში დასახელებული წყაროების გამოყენებით. |
| 6. | საბოლოო მომხმარებლისათვის განკუთვნილი სურსათის წარდგენის (პრეზენტაციის) ან რეკლამის დროს ეტიკეტზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესი. | 2 საათი | ლექცია, დისკუსია, ჯგუფური აქტივობა; დემონსტრაცია. | ტრენინგისთვის წინასწარ მომზადებული კონსპექტები, დანართში დასახელებული წყაროების გამოყენებით. |
| 7. | მოთხოვნები სურსათში ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების დამატების ზოგადი პრინციპების, მოთხოვნებისა და პროცედურების მიმართ, სურსათში ნორმირებას დაქვემდებარებული ნუტრიენტები. | 1 საათი | ლექცია, დისკუსია, ჯგუფური აქტივობა; დემონსტრაცია. | ტრენინგისთვის წინასწარ მომზადებული კონსპექტები, დანართში დასახელებული წყაროების გამოყენებით. |
| 8. | სხვადასხვა კატეგორიის სურსათისა და საკვებდანამატების ეტიკეტირების მიმართ არსებული მოთხოვნები. | 2 საათი | ლექცია, დისკუსია, ჯგუფური აქტივობა; დემონსტრაცია. | ტრენინგისთვის წინასწარ მომზადებული კონსპექტები, დანართში დასახელებული წყაროების გამოყენებით. |
| 9. | ტესტირება | 1 საათი | ტესტირება | |
| **10.** | **სულ** | **12 საათი** | | |

## სასწავლო ლიტერატურა

კონსპექტები მომზადდება სხვადასხვა მასალებზე, ინტერნეტ-წყაროებზე, საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობაზე დაყრდნობით:

• საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“.
• საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“.
• საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №441 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ დამტკიცების თაობაზე“.
• საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილება „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“.
• საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №198 დადგენილება „ბიოწარმოების შესახებ“.
• საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №714 დადგენილება „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
• საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №719 დადგენილება „დაფასოებული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.
• საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ივლისის №376 დადგენილება „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
• საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილება „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
• საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №301/ნ ბრძანება „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“.
• საქართველოს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“.
• საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №320 დადგენილება „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“.
• საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“.
• საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №118 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“.
• საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის №185 დადგენილება „თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
• საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“.

• საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №510 დადგენილება „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“.
• საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №508 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ“.
• საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №585 დადგენილება „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
• საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 დეკემბრის №536 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - ხილის წვენისა და ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი სხვა მსგავსი პროდუქტების დამტკიცების შესახებ“.
• საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №554 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე“.
• სსო/ჯმო ერთობლივი სასურსათო პროგრამის კოდექს ალიმენტარიუსის კომისიის მასალები (სახელმძღვანელო) მეცამეტე გამოცემა (2004 წელი).
• ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 28 იანვრის (EC) No178/2002 რეგულაცია „სურსათის სამართლის ძირითადი პრინციპებისა და მოთხოვნების, სურსათის უვნებლობის ევროპულ უწყების განსაზღვრის, ასევე სურსათის უვნებლობის პროცედურების შესახებ“.
• ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის (EC) No852/2004 რეგულაცია „სურსათის ჰიგიენის შესახებ“
• ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის (EC) No853/2004 რეგულაცია „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეცალური წესების შესახებ“.
• ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 17 ივლისის (EC) No1760/2000 რეგულაცია „მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიცირება-რეგისტრაციის სისტემის დანერგვისა და საქონლის ხორცისა და ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ“.
• ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის (EU) No1169/2011 რეგულაცია „მომხმარებლისათვის სურსათთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების შესახებ“.
• ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის (EC) No1924/2006 რეგულაცია „კვებით ღირებულებასთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების სურსათზე განთავსების შესახებ“.
• ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის (EC) No1333/2008 რეგულაცია „საკვებდანამატების შესახებ“.
• ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No1925/2006 რეგულაცია „სურსათში ვიტამინების, მინერალებისა და გარკვეული სხვა ნივთიერებების დამატების შესახებ“.

**რეკომედებული ინტერნეტ წყაროები:**

www.WHO.int; www.Codexalimentarius.net; www.wto.org; www.oie.int;
www.Consumersinternational.org ; www.efsa.eu.int;
ასევე: http://www.cdc.gov/nceh/;
http://www.mailman.columbia.edu/academics/degree-offerings/environmental- health-sciences;
http://www.ph.ucla.edu/students_degree_ehsobj.html;
http://www.jhsph.edu/dept/ehs/programs/non-degree/index.html;
http://my-capital.ru/metodi-ocenki-riskov.html;
http://files.rushim.ru/books/Books2/Toxbooks/ocenka-riska-avarij.pdf